აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 11

27/08/2020 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ3 “ ქვეპუქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და საწვავით უზრუნველყოფის წესი, დანართის №1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საწვავის გაცემის უწყისის ფორმები, დანართი №2 შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი